№ 183, აგვისტოს 25, კვ.რა. 1866—1885 აგვისტოს 25, კვ.რა. № 183.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. [illegible] ნების ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებლითათვის 3 მანათი.

# ისყიდება

დუქნები და ცარიელი ადგილები

რომელსაც ეკუთვნოდენ

ივანე მინას ძე მირზოევის

მემკვიდრეთ ქ. თბილისში მიხაილოვის ხიდზედ და მის ორივე გვერდებზედ, ერთად ანუ ნაწილ-ნაწილად და აგრეთვე სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, სადაც არის ეხლა სასტუმრო «გრანდ-ოტელი».

მსყიდველებს შეუძლიანთ მიიქცენ 1-ს სექტემბრამდის «კავკაზის» სასტუმროში № 37.

(5—3)

## შინაური ქრონიკა

† სიკვდილმა კიდევ წაართვა ჩვენს ქვეყანას ერთი პატიოსანი და მშრომელი ახალ-გაზდა. ქ. თელავში გადაცვლილა ჭლექით რ. ცაბაკაშვილი, ცნობილი ჩვენს მწერლობაში რ. ქ. ?-სამძღოდ. გადაცვალებულმა სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში. ყმაწვილობითვე გამოიჩინა ნიჭი გალობისა და თავის მშვენიერის ხმის გამო მიღებულ იქმნა მგალობლად არქიელის ხოროში, სადაც მან დაჰყო 7—8 წელიწადი. სწავლის გათავების შემდეგ მასწავლებლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში ნოტებისა და გალობის ცოდნა აქ გამოადგა განსვენებულს სამღვდელო ბუღ-მოდგინედ ასწავლიდა იგი ყმაწვილებს სიმღერას და გალობას და ლოტბარობდა პატარა ხოროს, რომელიც კარბელაშვილის დაწყობილს გალობას ასრულებდა ეკლესიაში.

მწერლობაში მონაწილეობის მიღება მან დაიწყო 1877 წლიდამ, როცა დაარსდა პირველად საკვირაო ჟურნალი «ივერია». იგი ითვლებოდა «ივერიის» სამუდამო კორესპონდენტად თელავიდამ 1879 წლამდე. ენა ამ ახალგაზდა მწერლისა ფრიად სუბუქი და წმინდა ქართული იყო, და როგორც კეთილ-სვინიდისიერი კორესპონდენტი მუდამ სიმართლით და სისწორით აღნიშნავდა ფაქტებს პროვინციის ცხოვრებიდამ. თელავშივე ყოფნის დროს, მან შეადგინა საქართველოს შემოკლებული ისტორია, რომელსაც ნაკლულევანებასთან ბევრი ღირსებაც ჰქონდა.

ამ სამის წლის წინად განსვენებული გადავიდა ქუთაისს მასწავლებლად სათავად-აზნაურო სკოლაში აქაც არ დაუტოვებია განსვენებულს მწერლობა იგი სწერდა იქიდამ ჩვენს გაზეთში ფელტონებს რაულ-დე-და-ტრამბლეს სახელით.

რაც ძალა და ღონე მისცა ღმერთმა, კეთილად მოიხმარა მიცვალებულმა ახალგაზდამ. თავისი ნიჭი და გონება მიწაში არ ჩაუმარხავს და, რაც მისცა ბუნებამ და ქვეყანამ, უკანვე დაუბრუნა სამშობლოს.

საუკუნოდ იყოს ხსენება უდროვოდ მიცვალებულის ახალგაზდა მოღვაწისა!

არას დროს იმდენი უცხო სტუმრები არ მოსულან კავკასიაში, როგორც წრეულს თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ქალაქის მათვალიერებელ პირთ, რომელთაც პირველის შეხედვითვე შეატყობთ, რომ უცხოები უნდა იყვნენ. სხვათა შორის, რუსეთის პროფესორებმაც მიაქციეს ყურადღება კავკასიას და ხშირად გვეწვევიან ხოლმე ჩვენის ქვეყნის განსაკუთრებულ ბუნების და ცხოვრების გასაცნობად. გუშინ წავიდენ თბილისიდამ ორი მოსკოველი პროფესორი ბბ. ივანიუკოვი და მაქს. კოვალევსკი, რომელთაც ზაფხულის დამდეგს კავკასიის ქედი გადმოუვლიათ ცხენით, გაუცვნიათ სვანეთი და, შემდეგ სამეგრელოზედ გამოვლისა, ქუთაისში მისულან. ბ. კოვალევსკი სახელმწიფო უფლების პროფესორია და აგროვებს ყოველ-გვარ ცნობას, რაც-კი კავკასიის ხალხთა ჩვეულებასა, და უფლებას შეეხება. ბ. ივანიუკოვს კი საგნადა აქვს გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაცნობა. ორივ პროფესორი, გარდა კათედრიდამ მოღვაწეობისა, სწერენ აგრეთვე მნიშვნელობით სავსე წერილებს თავიანთ საგნის შესახებ რუსულს ჟურნალებში და საუკეთესო პროფესორებადაც ითვლებიან; პატივცემულნი სწავლულნი მომავალ წელსაც აპირობენ კავკასიაში მოსვლას.

უშგულის საზოგადოების დასეტყვას (სვანეთში) მიუქცევია მთავრობას ყურადღება და ბ. ქუთაისის გუბერნატორს იქ ყოფნის დროს მიუცია დაზიანებულთათვის 400 მანათი ფული, სახელმწიფო ხარჯი შეუმსუბუქებია და დაჰპირებია აგრეთვე სხვა გვარადაც შემწეობას.

საკვირველის სისწრაფით მოუღეს ბოლო ფოსტის თავ-დამსხმელ ბოროტ-განმზრახველთ. ასეთის სისწრაფის მიზეზი ადგილობრივი ადმინისტრაციის მხნეობა და გამჭრიახობად უნდა ჩაითვალოს. იმ ღამესვე, როცა ფოსტა გაცარცვეს, 3 საათზე გუბერნატორი ბროსმანი თვით გაეშურა მცხეთის ვიწროებისკენ. მცხეთისა და დიღომისურიადნიკები კვალ-და-კვალ გაუდგნენ ავაზაკების გზას, რომელნიც, როგორც ვიცით, მცხეთის რკინის ხიდზე გავიდნენ. აქ ორად გაყოფილან: სამნი წასულან დუშეთისკენ, ხოლო სამი თიანეთისკენ. გუბერნატორმა დეპეშით შეატყობინა ყოველივე, როგორც ერთის მაზრის უფროსს, ისე მეორისას. თვით თბილისის მაზრის უფროსს კიდევ სხვა ბძანება ჰქონდა მიცემული დუშეთში წამსვლელთაგანი ორი

## დედა

მოთხრობა ფ. მერიმეესი.

(შემდეგი *)

ყოველ შაბათს, როდესაც სკოლიდამ მოვდიოდი ვხედავდი მამა-ჩემს სახლზედ—ზაფხულობით წმინდა ჰაერზე, ზამთრობით ოთახში. იმის სახე ყოველთვის ბრწყინავდა კმაყოფილების წყნარის ღიმილით, თითქოს არასფერი საგანი არ ჰქონდა მწუხარებისა. ნამდვილადაც ასე იყო; ცოლი ცდილობდა აეცილებინა მისთვის ყოველივე, რაც კი საწყენად დაურჩებოდა. ის ისე ზრუნავდა მაზედ, როგორც ავადმყოფ ბავშვზე, რომლის შეწუხება საშიში არის. დედა ჩემი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს ოჯახსა, წყნარის სიარულით შედიოდა სამზარეულოდან საკუჭნაოში, ანუ სარდაფში და კვალად ბრუნდებოდა ოთახში; ამ დროს პატარა ვიოლეტა ყველგან თან დასდევდა კაბის კალთაში ხელ-ჩაკიდებული

მე ვსთვლიდი დედა-ჩემს პატიოსნების წარმომადგენლად და აქამდისინაც არ შემიცვლია ეს ჩემი აზრი. მხოლოდ ერთი შემთხვევა მეჩვენებოდა როგორღაც საეჭვოდ, ანუ, უმჯობესია ვსთქვა, უცნაურად, იმისათვის რომ იმაზედ იჭვნეულობის აჩრდილიც არ შემეძლო მქონოდა: მე ის მიკვირდა, რატომ არ მოდიოდენ ჩვენთან სტუმრები. უწინ მამა ჩემს ისე პირქუშად ეჭირა თავი, რომ არავინ არ ეძებდა იმის გაცნობას, მაგრამ დედა-ჩემმა სრულიად შესცვალა ჩვენი ოჯახის ცხოვრება; თითონ ისეთი მხიარული და მიმლები ქალი იყო, რომ მალონებდა, ასე შეკეტილები და დაშორებულნი რათა ვართ-მეთქი მეზობლებთან. თხუთმეტი წლის ჰაბუკი ვიყავ, როდესაც დედას ამ გარემოებაზედ ვკითხე ერთხელ, მაგრამ იმან მალე გადამისხვაფერა ლაპარაკი.

—იცი, ჩარლი, —სთქვა მან: —როდესაც შევწირე ჩემი თავი მამა შენს, წინადვე ვიცოდი, რომ საზოგადოებაში სიამოვნებას მოვაკლდებოდი და განსაკუთრებით მისთვის ვიცხოვრებდი. ჩვენ ორივენი არ ვსაჭიროებთ სახლს გარეთ სიამოვნებას: სრული ბედნიერნი ვართ ჩვენს საკუთარ ოჯახში შენთან და ვიოლეტასთან.

მაგრამ მე მაინც ვფიქრობდი, რომ მღვდლისა და იმის ცოლისათვის ლილისფილდში ათასში ერთხელ რომ ვიზიტი გაგვეკეთებინა, ურიგო არ იქნებოდა, რადგან მათ მთლად მრევლი იცნობდა და მეც ძალიან მოხარული ვიქნებოდი გავრეულვიყავ მისკვაირ რობერტის შვილების შექცევაში. მაინც, ჩვენთან არავინ მოდიოდა, გარდა მკურნალისა, რომელიც ხან-და-ხან შემოივლიდა ხოლმე მამასთან სამუსაიფოდ

როდესაც დავვაჟკაცდი, და შემთხვევით ლაპარაკს ყურს მოვკრავდი ხოლმე იმაზედ, რომ უცხო პირებსაც უკვირდა ჩვენი ცხოვრების წესი, მაშინ ის დასკვნა გამომყავდა, რომ მამა-ჩემმა ალბად დაბალი გვარის ქალი შეირთო და იმიტომ დაიშორა თავის ნაცნობები მეთქი. ამასთანავე დედა-ჩემი ხანდისხან მიიღებდა ხოლმე წიგნებს, რომელთა დამალვას ყოველთვის ძალიან ცდილობდა. ბოლოს ჩემი ეჭვიანობა საქმით გამართლდა. ერთს დილით დედა-ჩემი გამოვიდა საუზმეზედ, დიდად აღელვებული და სახიდამ სრულიად შეცვლილი; როდესაც მე და ვიოლეტას გველაპარაკებოდა, იმის ხმა რაღაც უცნაურად გამოისმოდა. ჩვენ ორივენი ინსტინქტიურად მივხვდით, რომ აქ რაღაც არა სახუმარო ამბავი იყო და ვისხედით გაჩუმებულნი; მამა-ჩემიც იმ დღეს ვერ იყო კარგად და ამისათვის ცოტაოდნად ქინინაობდა. იმას შინ დარჩენა უნდოდა, დედა-ჩემი კი უმტკიცებდა, რომ მისათვის აუცილებლად საჭირო იყო მახლობელ ქალაქში ცხენით წასულიყო და მეც თან წავეყვანე. მამა ჯერ უარს ეუბნებოდა, მაგრამ როცა დედამ დაუწყო ვედრება, იგი დასთანხმდა. საყვა-

*) იხილე «დროება» № 182.

დაიჭირეს გუშინ-წინ ამ თვის 23-ს და ჩამოიყვანეს თბილისში. თიანეთისკენ წამსვლელთ მაზრის უფროსმა თ. ლევან ჯანდიერმა შეუკრა გზა და იძულებული იყო ერთი მოეკლა, ხოლო მეორე ცოცხალი დაიჭირა, მესამე კი გაიქცა. დაჭერილმა დაასახელა თვისი ამხანაგები. ფოსტის დაკარგული ჩემოდნები სხვა-და-სხვა ალაგას არის დღეს გაფანტული და მალე დაუბრუნდება სამმართველოს.

⊙⊙⊙ ბორიდამ ერთი ვერსის მოშორებით, დასავლეთ-სამხრეთის მხარეს, ბორიჯვრის მთის ძირში გამოწანწკარებს რაღაცა სამკურნალო გოგირდის წყალი, რომელსაც მრავალი ხალხი ხმარობს, მაგრამ ჯერ-კი ვგონებთ, არავის გამოუკვლევია რა თვისებისაა ეს წყალი და რა სნეულობას უფრო არგებს. ურიგო არ იქნება მიაქცევდენ ყურადღებას, ვისიც რიგია, და გამოიკვლევდენ-რა თვისებისაა ეს წყალი. ამ გვარივე წყალი შუა მთაშიაც ამოდისო.

⊙⊙⊙ ზანგეზურიდამ სწერენ გაზ. «ნორ-დარს», რომ იქ, ამას წინად ერთმა სპარსელმა მოსტაცა თავის ალა-სომეხს ქალი, მონათლა სომხურად და ჯვარი დაიწერაო. ახალ ჯვარ-დაწერილნი მიუღია ერთის სოფლის გლეხობას, დაუბინავებია თავის შორის და მიუცია ერთი ძროხა და ერთი ხარი

⊙⊙⊙ გასულ ორშაბათიდამ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნიდამ წასულა ერთი მუშა—სანდრო ჩარჩი, სომეხთაგანი, 17 წლის ვაჟი. მას უკან ეს კაცი აღარ დაბრუნებულა ქარხანაში და მხოლოდ გუშინასწინ უნახავთ ერეკლეს ციხესთან ერთ თხრილში მკვდარი. ერთი დედა-კაცი უეცრად წასდგომია სრულებით დაშლილს გვამს, რომელსაც ტანისამოსი და ვეცხლის ქამარი ზედვე ჰქონია. პოლიციისთვის უცნობებიათ და შესდგომიან ამ ბნელი საქმის გამოძიებას

## უცხოეთი

◆◆ გერმანიისაგან კაროლინის კუნძულის დაჭერამ, როგორც იტყვიან, საღერღელი აუშალა ევროპის დიპლომატებსა და პრესას. ხსენებულს კუნძულებს ესპანია მუდამ თავის საკუთრებად სთვლიდა და, აი, რა საბუთით: ესპანიელმა ფრანჩესკო ლაცანომ აღმოაჩინა 1686 წელს ეს კოროლინის კუნძულები. ამ ხნიდამ ესპანიელნი სცდილობდენ ყოველის ღონით—მჭიდროდ დაკავშირებოდენ ყოველის ამ კუნძულთაგანის მთავარს, სცდილობდენ ქრისტიანობა გაევრცელებინათ აქ 1686 წლიდამ მოყოლებული ესპანიას არავინ არ გამოდავებია ამ კუნძულებზე. ეს იყო მიზეზი, რომ ესპანიას არ განუზრახავს დღემდის კოროლინის კუნძულების ფორმალურად შემოერთება, რადგან მას არა ჰსურდა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მოესპო თვით-მმართველობა და გარდა ამისა წარმოებისა და განათლების გასავრცელებლად ფაქტიკურად შემოერთება კუნძულებისა შეიარაღებულის ძალით სრულიად უსარგებლო იქმნებოდა.—მხოლოდ, როცა გერმანიამ, ამ რამდენიმე ხნის წინად, კოლონიალურს პოლიტიკას დიდის ენერგიით მოსჭიდა ხელი, ესპანიის მმართებლობამ მიუწერა მეზობელ ფილიპეს კუნძულების გენერ.—გუბერნატორს ყოველის ღონით ეცადოს კოროლინის კუნძულების ფაქტიკურად შემოერთებისათვის და ამ საქმისათვის საჭირო ფულიც მიაწოდა. დიდი მანძილი და შორეულ ალმოსავლეთის კუნძულებთან ძნელი მისვლა-მოსვლა იყო მიზეზი, რომ ნახევარის წლის განმავლობაში ესპანიის მმართებლობამ ვერაფერი მოასწრო—ვერ შეიერთა ფორმალურად კოროლინის კუნძულები. ამ რიგად ორის საუკუნის განმავლობაში ჰფლობდა ესპანია კოროლინის კუნძულებს და წლევანდელი წლის დადგომამდის არ უფიქრია ამათი ფორმალურად შემოერთება, წელს კოლონიალურ პოლიტიკის საქმემ აფიქრებინა ეს, მაგრამ გერმანიამ დაასწრო და ერთი ამ კუნძულთაგანი დაიჭირა თვისის ჯარებით. და როდესაც ესპანიის მმართებლობამ ცხარე საწინააღმდეგო ნოტა გაუგზავნა გერმანიის მმართებლობას, ხსენებული კუნძულის დაჭერის გამო, გერმანიამ შემდეგის სიტყვებით უპასუხა მას: «ესპანიის წარმომადგენელი ბერლინში გარეშე საქმეთა მინისტრს მადრიდში. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გადმომცა შემდეგი საბუთი: ბერლინი, აგვისტოს 24. მისის უდიდებულების გერმანიის იმპერატორის მმართებლობამ მიიღო მხედველობაში არა ერთ გზის თხოვნა თვის ქვეშევრდომთა, რომელთაც კოროლინის კუნძულებთან ვაჭრობა აქვთ გამართული; ესენი ითხოვდენ თვის მმართებლობისაგან ხსენებულს კუნძულებზე მფარველობის გამოცხადებას და როდესაც ეხლა გერმანიამ განიზრახა ამ თხოვნის სისრულეში მოყვანა—ამით ის არა ჰფიქრობს დაარღვიოს სხვისი უფლებანი. იმ საბუთების მიხედვით, რომელნიც დღეს ხელთა აქვს გერმანიის მმართებლობას, შეიძლება ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ კაროლინის კუნძულები თავისუფალ ტერიტორიას წარმოადგენენ; ეს იყო მიზეზი, რომ გერმანიის მმართებლობამ მიიღო ზემოხსენებული გადაწყვეტილება და ეხლა ვერ აუხსნია, რად დაანახა აქ ესპანიამ თვის ხელმწიფურ უფლებათა შეხება, დარღვევა. გერმანიის მმართებლობამ ადრევე აცნობა [illegible] თვისი გადაწყვეტილება და მხოლოდ შემდეგ გამოაფინა დროშა კაროლინის კუნძულებზე. გერმანია მზად არის მოლაპარაკება გამართოს ამ შემთხვევის გამო, თანახმაა—განირჩეს ესპანიისაგან წარმოდგენილი უფლებანი და იხელმძღვანელოს ამ შემთხვევაში იმ მეგობრულის კავშირით, რომელიც გერმანიას და ესპანიის შორის ყოფილა და რომელიც ჰსურს უფრო განმტკიცდეს მომავალში. და თუ ამ მოლაპარაკებით არა გარიგდება რა—გერმანია თანახმა გახდება ესპანიასთან ერთად კაროლინის კუნძულთა საქმის გარჩევა მიანდოს ერთ-ერთს ევროპის სახელმწიფოს, რომელიც ორთავე ამ სახელმწიფოთა მეგობრად ითვლება».

## სხვა და სხვა ამბავი.

შეიძლება თუ არა განგებ წვიმის მოყვანა? დამტკიცებულია, რომ მანჩესტერის ჰავა თან და თან იცვლებოდა მანუფაქტურის ქარხნების გავრცელების კვალობაზედ. მას აქეთ, რაც ხსენებული ქალაქი, როგორც იტყვიან, „დიდ ბუხად“ გადაიქცა, ერთი დღეც არ გაივლის, რომ იქ წვიმა არ მოვიდეს. ამასვე ამბობენ ელბერფელდის შესახებ და დიდი ხანია დაიწყეს სჯა მაზედ, თუ დიდს ცეცხლს რამოდენა გავლენა აქვს საწვიმო ღრუბლების გაჩენაზედ. ბეკონი ამბობს თავის თხზულებაში, „რომ იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ საფრანგეთი ინგლისის მორჩილების ქვეშ იმყოფებოდა, ბორდოს მცხოვრებთ ინგლისის კოროლს სთხოვეს აღეკრძალა თავის ქვეშევრდომებისთვის, რომ აპრილამდის თავის მინდვრები არ დაეწვათ, რადგანაც

---

რელი ქალის ნარნარმა ერთგულებამ დასძალა იმის გაუბედაობა. ჩვენ ავდექით სტოლიდან და მაშინვე გავამგზავრენით ჰაერი სრულიად არ გვიწყობდა ხელს მოგზაურობის დროს, მაგრამ დედამ სხვა-და-სხვა წვრიმანი საქმე მოგვცა, ასე რომ იმის ხათრისათვის, ბედს უნდა დავმორჩილებოდით. რამდენიმე მილი რომ გავიარეთ ლილისფილდსიდან, შევნიშნეთ, რომ ჩემმა ცხენმა ჩლიქი იტკინა. მე ძალიან გამეხარდა ესა, რადგანაც შინ დავბრუნდებოდით. მამამაც საჭიროდ დაინახა უკან დავებრუნებინე, მიბძანა რაც კი შეიძლებოდა წყნარად მევლო და თითონ წავიდა თავის გზაზე.

შინ დავბრუნდი, ცხენი თავლაში შევიყვანე და შეუნიშნავად შევედი სახლის დერეფანში. რა რიგად გაოცებული დავრჩი, როდესაც სასტუმროში გავიგონე მობაასეთ ხმა! აღარ დავფიქრებულვარ ჩემს საქციელზედ, სწრაფად გავაღე კარები, დედა-ჩემმა გამოიხედა ჩემკენ და, დამინახა თუ არა, რომ კარებში ვდგევარ, წყნარად ხელი-მკრა და უნდოდა დერეფანშივე გავსულიყავ.

— გადი აქედან, წამიჩურჩულა მან აშკარად აღელვებულმა,—წადი შენ ოთახში ზევით, დაიმალე სადმე და აქ ნუღარ შემოხვალ, სანამ მე თითონ არ დაგიძახო.

იმის თვალები ბრწყინავდა სიცხემოცემულის ელვარებით და ლოყებზედ წითელი ლაქები ულაპლაპებდა. მე შევნიშნე, რომ ძალიან მოშლილი იყო, და განვიზრახე უსათუოდ გამეგო, თუ ეს რა ამბავი იყო.

— ვინა გყავთ აქა?—ვკითხე ცნობის მოყვარულობით, იმიტომ რომ სასტუმროში დედა-კაცი შევნიშნე.

— აი, რა არის? თქვენ, ყმაწვილო კაცო, გსურთ შეიტყოთ მე ვინა ვარ, არა? მომესმა ხრინწიანი ხმა დედა-კაცისა, რომელიც ლაპარაკობდა ენადაბმულსავით და ნახევრად მოხურულ კარებიდან გამოიყურებოდა.—შემომხედეთ და დამინახეთ, თუ ეს თქვენთვის სასიამოვნოა; მე ჩემი თავისა არა მრცხვენიან, როგორც ზოგიერთებსა,—დაუმატა იმან.

სასტუმრო ოთახის კარი ყურამდინ გაელო და მე დავინახე სრულიად უცნობი დედა-კაცი.

ეს დედა კაცი იქნება თავის დროზედ ლამაზი იყო, მაგრამ ეხლა იმის წითელს, დალაქებულ და აბურცულ სახეზედ გამქრალიყო ადრინდელი სილამაზის კვალი. იმის თვალები ჩასისხლებულიყო; თმა გაწეწოდა, კაბა დასჭმუჭნოდა და გასჭუჭყიანებოდა. იქნება ერთ დროს იგი კარგ საზოგადოებას ეკუთნოდა, მაგრამ ეხლა კი სრულებით შეუსაბამო სახე ჰქონდა. ამ სტუმარმა სიმძულვარე გამიღვიძა გულში.

— ეს ვინ არის? გავიმეორე მე, და არ ვმალავდი ჩემს სიმძულვარეს; ჩემი სიტყვების კილო საწყენად დარჩა და რაღაცას მიყვიროდა შორიდან თავის ჩხავანა ხმითა. დედა-ჩემი ამაზედ უფრო აშფოთდა.

— ჩარლი, მე გიყვარვარ შენა? ჩურჩულით მკითხა იმან.

— რასაკვირველია, მიყვარხარ...

— მაშ ეხლავე ადი შენს ოთახში და იქ მომიცადე ჩემს ამოსვლამდინ? მაშინ მოვილაპარაკებ შენთან, და ყველას გიამბობ .. მხოლოდ ეხლა კი წადი ჩქარა!

დედაჩემმა ეს ისეთის კილოთი მითხრა, რომ წინააღმდეგობა ველარ გავუწიე და დაუყოვნებლად გავედი, ყური არ ვათხოვე რაღაც საწყენ სიტყვებს, რომელსაც მიყვიროდა უცნობი სტუმარი. მარტოდ დარჩენილი, გაანჩხლებული ვფიქრობდი მომხდარს ამბავზედ, უცხო პირის მოსვლა ჩვენ სახლში ისედაც არა ჩვეულებრივი შემთხვევა იყო; ამას გარდა ის დედაკაცი დედაჩემს ბრიყულად ექცეოდა იმ დროს მე თხუთმეტის წლისა ვიყავი და ნამდვილად შემეძლო გამოვსარჩლებოდი და დამეფარა დედა შეურაცხებისაგან; რატომ არ მომცა ნება გამეგდო გარედ ის დაუპატიჟებელი სტუმარი? პირ-იქით დედამ ზევით ამგზავნა და იქ უნდა ვყოფილიყავ, სანამ იმასთან ლაპარაკს გაათავებდა, თითქოს მეც იმისთანა პატარა და უგუნური ვიყავ, როგორც ჩვენი ვიოლეტა? აქ მე მომაგონდა დედას მეცადინეობა—მე და მამაჩემი როგორმე თავიდამ მოვეშორებინეთ და მაშინ მივხვდი, რომ ის ელოდა ამ უცნაური სტუმრის წვევას. მაშასადამე, ჩემი ეჭვი მტკიცდებოდა: დედაჩემს ჰყავს ნათესავები, რომელნიც

ამის გამო ქარი და წვიმა ჩნდება და ვენახებს დიდს ზარალს აძლევსო“. ცნობილია აგრეთვე, რომ ინდოელები პარაგვაიში, როგორც მისიონერები ამტკიცებენ, ცეცხლს უკიდებენ რასმეს, როდესაც გვალვა დგება და ამით წვიმა და თვით ქუხილიც კი ჩნდება ხოლმე. ამისთანავე წესს მისდევენ დასავლეთის კოლონისტები ჩრდილოეთ ამერიკისა და უკანასკნელს დროს ამერიკის გამოჩენილი გამომკვლევლნი ურჩევენ ამ საშუალებით მოეყვანათ წვიმა შეერთებული შტატების იმ ადგილებში, სადაც გვალვა იცის

**შუშის ახალი დანიშნულება.** დრეზდენის ერთს შუშის ქარხანაში კეთდება ისეთი მკვიდრი და მაგარი შუშა, რომ თუჯს არაფრით არ ჩამოუვარდება. მას თუჯზედ კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ ჟანგს მაზედ არავითარი გავლენა არა აქვს. ამისათვის ხსენებულს ქარხანას განზრახვა აქვს გააკეთოს შუშის კანდელაბრები, მილები, კიბეები, წყლისა და გაზის გასაყვანი მილები და სხ. ამ საგნების ფასი, როგორც ფიქრობენ, ბევრით ნაკლები იქნება თუჯისგან გაკეთებულს ამისთანავე საგნების ფასზედ.

**ჩიტების მეჯლისი.** ამას წინად პრინცესა დე-საგანმა საკვირველი მეჯლისი გამართა. დაპატიჟების წერილებზედ, რომელნიც გაუგზავნა მან თავის ნაცნობებს, დახატული იყო სხვა-და-სხვა ნადირი და ფრინველი მდიდრულის ტანისამოსით მორთულნი; წერილში სთხოვდა მოწვეულს ნაცნობებს ამ ტანისამოსებში ამოერჩიათ თავიანთთვის თითო ხელი ტანისამოსი, ფრინვლის ან ნადირის ფერის შესაფერი. ამისათვის ბალის დღეს პრინცესას დარბაზში დაიარებოდნენ სტუმრები ფრინველისა და ნადირის მსგავსად ჩაცმულნი. პარიჟს დიდი ხანია ამისთანა დღესასწაული არ უნახია.

**სპარსეთისშაჰის გლობუსი.** ინგლისელი მოგზაური არტურ-არნოლდი, რომელიც ამასწინად მიღებული იქმნა სპარსეთის შაჰისაგან, ასე აწერს შაჰის ნასრედინის გლობუსს; გლობუსი ირგვლივ 18 გოჯის ტოლაა და მთლად ძვირფასის თვლებით არის მოჭედილი. ზღვები ფირუზებით არის გამოყვანილი და მწვანე ფერს ჰფენს; ცხელი აფრიკა ლალით, რომელიც მბრწყინავ, წითელ ფერსა აყენებს, შეერთებული შტატები-ბრილიანტით; ინდოეთი—ამეტისტით; ავსტრო-ვენგრია ბრილიანტით და ლურჯი იაგუნდით; საფრანგეთი აგრეთვე ლურჯი იაგუნდით და სხვ. ეს გლობუსი თეირანში გააკეთეს სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ ამბობენ, რომ ეს გლობუსი ისე ძვირფასია, რომ ერთ პატარა სახემწიფოდ ღირსო.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 23-ს.

**ლონდონი.** შეფილდში მომხდარს ბანკეტზე ინდოეთის საქმეთა მინისტრმა, ჩერჩილმა წარმოსთქვა სიტყვა ავღანის საქმეთა შესახებ და გამოსთქვა, რომ დავა ზულფიკარის გასავლის გამო სრულებით მოისპო. მიუხედველად ამისა ჩერჩილი იმ აზრისაა, რომ ინდოეთის საზღვრების გამაგრებას და ჯარის გაწვრთნას აღრინდულისავე ენერგიით უნდა მივყვეთო.

**კიევი.** ქალაქის რჩევის გუშინდელს სხდომაზე მათ იმპერატორობით უდიდებულესობათა კიევში მეოფობის გამო—გარდაწყვიდა: გადახდილ იქმნეს რჩევის დარბაზში პარაკლისი, წარმოითქვას მრავალ-ჟამიერი მათის უდიდებულესობათა და მთელის სამეფო სახლისა, მიუძღვნან უმდაბლესი მადლობა კიევში ბრძანების გამო და განუცხადონ ქვეშევრდომობითი გრძნობა მცხოვრებთა ტახტისა და მამულისადმა; მოხსენება უავგუსტოეს სტუმართა მობრძანებისა კიევში დაბეჭდოს ოქროს ასოებით და ინახებოდეს რჩევის დარბაზში. რჩევის დადგინება "ურას„ ძახილით იქმნა მიღებული.

**ფრანცენსბადი.** გირსს ეწვივნენ აქ: თავადი ბოლგარიისა ალექსანდრე, დიდი-ბრიტანიის ახლად დანიშნული ელჩი რუსეთში—მორიერი, რუმინიის მინისტრი ბრატიანო და გენერალ-ადიუტანტი სერბიის მეფისა კატარჯი.

აგვისტოს 24-ს.

**პეტერბურგი.** ხუთშაბათს საღამოს მათთ იმპერატორებითი უდიდებულესობანი, ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დდ. თთ. გეორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი და დდ. ქქ. ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი მცირე ამალითურთ იახტით „დერჟავა„ დანიაში წაბრძანდენ. „დერჟავას“ გაჰყვნენ იახტა „ცარევნა“ და გემი „პეტრე დიდი“.

**მარსელი.** ხოლერა თან-და-თან სუსტდება- ხუთშაბათს მხოლოდ 12 კაცი მოკვდა.

## ბირჟა

პეტერბურგი აგვისტოს 23.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $23^{31}/_{32}$ $24^{3}/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $203^{1}/_{2}$ $204^{1}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $252^{1}/_{4}$ $253^{1}/_{4}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 27 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 28 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 31 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5^{1}/_{4}$ და $6^{1}/_{2}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $99^{1}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 98 მ. 62 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | 98 მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 98 მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 98 მ. 12 კ. მყ. |
| 5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | 97 მ. 12 კ. მყ. |
| მეორე გამოც — — | 97 მ. 12 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | 97 მ. 12 კ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | 220 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | 212 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. მყ. |
| | 27 წ. $89^{1}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 89 მ. გამყ. |

# ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა,** ხუთშაბათობით და კვირაობით.

---

**სამკურნალოში,** რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9

---

ეთაკილება და არ უნდა შეახვედროს მამაჩემსა. საბრალო დედა! თუ ეს აღიზარდა ამ გვარ ხალხთ-შორის, როგორც ეს უცნაური მოსული დედაკაცა, მაშინ გულით მებრალების ისა. მე იქამდისინ დარწმუნებული ვიყავ ჩემი ფიქრის სინამდვილეზე, რომ არც-კი ვეძებნიდი დასამტკიცებელს საბუთს. დასასრულ ჩემს ოთახში შემოვიდა დედაჩემი. თავი ჩემს მხარზე დასდო და მოჰყვა ტირილს. მე როგორც შემეძლო ნუგეშს ვცემდი და აღარ შევაწუხე უსარგებლო გამოკითხვით.

— ნურას ეტყვი ამაზედ მამაშენს, ჩემო ძვირფასო ჩარლი! მითხრა მან. ნუ გაახსენებ ნურც ერთის სიტყვით რის მოწამეც იყავ შენ დღესა. მომეც პირობა, ჩემო მეგობარო! მე არ დავმშვიდდები იმ დრომდინ, სანამ სიტყვას არ მომცემ, რომ არავისთან არას გამხელ.

მე მივეც პატიოსანი სიტყვა იმის საიდუმლო დამეფარა, მაგრამ ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ.

ამის შემდეგ, მამაჩემმა ჩემის სურვილით მალე გამამწესა შეგირდად ერთს არხიტექტორთან ლონდონში და ამის შემდეგ ძალიან იშვიათად მივდიოდი ხოლმე ჩვენს სახლში. მე მხოლოდ წერილები მომდიოდა სახლიდამ და ამით ვნუგეშობდი. ვიცოდი, რომ იქ საქმე კარგად მიდიოდა და მეც კარგს გზაზედ ვიდეგ.

ბეჯითად ვსწავლობდი ჩემს ხელობას ორი წლის განმავლობაში, დასასრულ მოვემზადე დიდიხნობით ვწვეოდი ჩემს მშობლებს; ის იყო ჩემი წასვლის წინა დღეს მივიღე წიგნი ჩვენი სოფლელი ექიმისაგან; ის მიიწვევდა დაუყოვნებლად შინ დავბრუნებულ ვიყავ, რადგან მამაჩემი ავად გამხდარიყო და მორჩენის იმედი აღარა ჰქონდა. მე კარგად მივხვდი რასაც ნიშნავდა ესა, და ლილიფილდსში მისულს აღმიხდა ჩემი წინად მიხვედრილობა: მამაჩემი არ დამიხვდა ცოცხალი, იგი უცებ მომკვდარიყო გულის ავადმყოფობისაგან. ძალიან შემაწუხა. მე არასოდეს არ მყვარებია მამაჩემი ისე ძლიერად, როგორც ეხლა. თუმცა იგი უხიაკი და ჯიუტი კაცი იყო, მაგრამ ჩემთვისაც და დედაჩემისთვისაც მაინც დიდი დანაკლისი იყო. დედაჩემს პირველად დიდი მწუხარება არ ეტყობოდა, პირ-იქით თითქოს დამშვიდებული იყო და ამან ძალიან გამაოცა. ღამე და დღე არ მოსცილებია თავის მიცვალებულის ქმრის გვამსა ის ადამიანი, არ ჩამოუგდია არც ერთი ცრემლი; თავის ქმრის სიკვდილს ის ისე გულ-გრილად გიამბობდათ, თითქოს მცირე ხნის მოგზაურობაზე იყო ლაპარაკი, საიდამაც ის უეჭველად მალე უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ იმის გამშრალი თვალები არც ერთს წამს არ მილიოლულა ძილისათვის, და სახეში სისხლი არ ეტყობოდა. ასე გაიარა პირველმა დღემ; მეორე დღეს მე საჭიროდ დავინახე იმასთან საქმეზე მოლაპარაკება; მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავ და ჩემი თავი დაასაკებული, ჭკუა-დამჯდარი კაცი მეგონა.

— დედავ, ვუთხარი მე, სად არის შენახული განსვენებული მამი-ჩემის ანდერძი?

— იმას არა ჰქონდა არავითარი ანდერძი, ძვირფასო ჩარლი!

— არაფერი ანდერძი? რა დაუდევრობაა!

— ბთხოვ გაჩუმდე!

დედას არა სურდა, რომ იმის თვალწინ გაეკიცხათ ის კაცი, რომელიც მისთვის ძვირფასი იყო.

— მამი-ჩემის ანდერძი იქნება სადმე, დაჟინებით ვეუბნებოდი.

— ჩემო მეგობარო, მე გეუბნები, რომ ანდერძი არასოდეს არა ჰქონია. იმ აზრმა მოუწამლა მამა-შენს უკანასკნელი წამი, მაგრამ ჩემის მხრით ძალიან მიხარიან, რომ ასე მოხდა.

— ლილიფილდის და ყოველივე, რაც აქ არის, რასაკვირველია თქვენია, შევნიშნე მე თამამად. თქვენს მეტს ამაზედ არა ვის არა აქვს უფლება. იცხოვრეთ თქვენ და ვიოლეტამ უკანასკნელ დღემდინ. თანახმა ხართ თუ არა.

— ნუ მკითხავ, ძვირფასო ჩარლი, ნუ ფიქრობ მაგაზედ... მხლა მაინცა! ჯერ მოვითმინოთ.. ჯერ.. სანამ ყველა გათავდებოდეს, და მაშინ გარდავსწყვიტოთ, რა მოვიქმედოთ!

(გაგრძელება იქნება)

საათამდის სნებით, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად პენკლევსკი—10—11 საათამდე —საქირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 მარიამობისთვიდამ 1 ენკენისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუ.

სეთის ფქვილისა — —1 გ. რ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

**ჯვარის-მამის პური:**

პირველის ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

**მროხის ხორცი:**

პირველის ხარისხისა—1 გ. 6 კ.

მეორისა — — —1 გ. 5 კ.

ენა— — — —1 გ. 13 კ.

ცხვრის ხორცი— —1 გ. 7 კ.

**ღორის ხორცი:**

პირველის ხარისხისა -1 გ.

მეორისა — —1 — გ.

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდამ ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით

თბილისიდამ სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის 8 საათზედ 24 წამ. დილით.

## განცხადებანი

### სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს

ქუთაისის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავად-აზნაურთა საცნობლად, რომ 1885 წ. ენკენისთვისათვის I განყოფილებაში ოც-დაცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებათა შესაფერი ეგზემენი უნდა დაიჭირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგინონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. სწავლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხრობა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი შემოიყვანოს. (10—9)

გრ. ჩარკვიანის
ქართული წიგნის მაღაზია
გადავიდა ზუბალოვის სახლებში
ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, სემინარიის პირ-და-პირ.
აქვე იმყოფება გ. ჩარკვიანისვე სტამბა, რომელშიაც იღებენ
ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს.

### ისყიდება

ახალი სასწავლებლო წიგნი

ქართული

## ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეგზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება. (25—10)

### ინგლისური რკინის კარავტები



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან, და ორის საწოლი 10 მანეთიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ხაიდნები, საყარაქე, საშაქრე, კოვზები, შუბიდნის დანები ხანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის ნიგი, საწყაო, [illegible], თეფშები, ბლიუდები, [illegible], ტაშტები, სარქველები, სამარილეები, გარნიცის სათუხები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, გდიტები, გასადებები, კრანტები, ჰაფრები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, სახადო მაგრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ბიგები, ზარადები, კეტილები, საფეიქნები, ნიჩბები, გატერპერები, საბმები, ჩოქები, წინდები, სუფრები, სალფეტები, რეზები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ქაღლები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკეტნები, ბომზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არჩრუნის ქარვასლაში №№ 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, [illegible]. (100—20)

საოჯახო-კვირეული ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

## „თეატრი"

გამოდის 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ-და-პირი თავის დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აწერისა, „თეატრი", თავის ადგილს კიდევ ჩვენს ლიტერატურასაც დრო გამოშვებით „თეატრი"-ში მეიძლება ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველებისთვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა" შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები.

ბ. პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.

გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დ. კორესპონდენციები და უცხო გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ.

ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.

ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.

ზ. ფელეტონი: თეატრ. შესახებ. სცენები. დრამატიული თხზულებანი, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგზაურობანი და სხვ.

ჱ. ანეკდოტები, გამოცანები, რებუსები, შარადები და სხვ.

თ. უცხო-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს» აღუთქვამს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით ფასი «თეატრის»-ა: წლით როგორც ქალაქსა, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ხუთი (5) მანეთი. ნახევარ წლით—სამი (3) მანეთი ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობისთვეშიაც 1 მან. სხვა გვარი ხელის—მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი"-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—მ ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ". Баронская улица, домъ Тамамшевой, № 16.

ენკენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: **Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани.** წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—5) რედაქტორი და გამომცემელი გ. ხახანაშ.

### ი. ა. ფორაქოვის და დ. ს. სარაჯოვის

სპირტისა და არაყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

### ისყიდება

დაწმენდილი პურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20—10)

*Доз. ценз. Тифлисъ, 24 Августа 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი